



# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№3 (64) მაისი-ივნისი 2013 წელი



წმ. ილარი (თორნიკე) მთავარმთავარი

# გველობის წინწევები



# ბავშვთა სულიერი ზრდის სამსახურში



ბიულეტენი გამოდის 2007 წლის ივლისიდან



# გალობის ჩაინდობა

*„უგალობდით უფალსა გალობითა ახლითა, უგალობდით უფალსა ყოველი ქუეყანაი“ ფსალმუნი, 95-1*

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი აგრძელებს დევნილი მოსახლეობისათვის ქართული ხელოვნების მარგალიტების ჩვენებას. რეზო ჩხეიძის არაჩვეულებრივ ფილმ „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთლის“ შემდეგ კინოხელოვნების მუშაკთა სახლში. მისში ნაჩვენები იყო ნანა ჯანელიძის ფილმი „გალობის რაინდები“. ფილმში აღწერილია, თუ როგორ გადაურჩა ქართული საგალობლები დაკარგვასა და განადგურებას, რომლის გადარჩენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძესა და ნმ. ექვთიმე კერესელიძეს. მათ 5000-მდე უძველესი ქართული საგალობელი ჩანერეს ნოტებზე, მძიმე და ძნელი გზა გამოიარეს და შთამომავლობას შემოუნახეს უდიდესი საგანძური. საქართველოს ეკლესიის სინოდმა 2003 წლის 18 აგვისტოს ექვთიმე კერესელიძე, ხოლო 2011 წლის 20 დეკემბერს ფილიმონ ქორიძე და ძმები კარბელაშვილები წმინდანთა დასში შერაცხა. ექვთიმე კერესელიძეს ეწოდა ნმ. ექვთიმე აღმსარებელი, ფილიმონ ქორიძეს — წმიდა ფილიმონ მაგალობელი, ერისათვის თავდადებულ კარბელაშვილთაგან სამ ძმას: ვასილს (სტეფანეს), პოლიევქტოსსა და ფილიმონს -აღმსარებლები, ხოლო ორ ძმას: პეტრესა და ანდრიას — წმიდა მღვდელმონაშენი.

კინოს სახლში შეკრებილ საზოგადოებას თავად ფილმის რეჟისორი, ქალბატონი ნანა ჯანელიძე მიესალმა და ესაუბრა იმაზე, თუ რამ განაპირობა და რა დაედო საფუძვლად ესოდენ საჭირო და საინტერესო ფილმის გადაღებას.

ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა ღვაწლი ჭეშმარიტ დამფასებელს გვიან პოულობს ხოლმე. ასე მოხდა ქართული საგალობლების გადამრჩენთა შემთხვევაშიც. სწორედ ის მძიმე ჯვარი,

რომელიც ამ ღირსეულმა ადამიანებმა იტვირთეს, ხატოვნად გადმოგვცა რეჟისორმა ფილმში.

ემოციებით დატვირთული დარბაზი ცრემლს ვერ იკავებდა. ფილმის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა შთაბეჭდილებათა გაზიარება.

**ბიზ გვანაგვა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:** „უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ ფილმის შემქმნელებს. საოცარი ფილმა. ის, რაც ამ ფილმში არის ნაჩვენები, კიდევ ერთხელ მონიშნავს იმას, რომ ჩვენი უწმიდესის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა, თუნდაც ძალიან პატარა ადამიანმა შეიძლება მოიგოს დიდი ომი. ყველამ თავისი ომი უნდა მოიგოს, თავისი საქმე აკეთოს ერისთვის და ხალხისთვის და სწორედ ამის მაგალითია ფილიმონ ქორიძე. მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩემს თაობას და კიდევ სხვა თაობას — ახალგაზრდობას, რომ ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა გაიზარდოს მთელი ერი. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ასეთი ადამიანების ღვაწლი. ქართული გალობა, ცალკე აღებული, ეს არის, ალბათ, მსოფლიოს ერთ-ერთი სასწაული იმიტომ, რომ ახლახან წმიდა მინაზე ვიყავი, სადაც მოვისმინე მრავალი გალობა. რა თქმა უნდა, ყველა ლამაზია, მაგრამ ქართული გალობა სრულიად განსხვავებულია, ისეთი მდიდარი და განუმეორებელია, რომ მსოფლიო მღერის დღეს ქართული ჰანგით და ქართული ხმებით და ამის მაგალითი იყო, სწორედ, ფილმის დაწყება. მინდა ვთქვა, რომ ამ ქართული საგალობლების გადარჩენა ნიშნავს ჩვენი ენის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ენობის და ჩვენი მენტალიტეტის გადარჩენას. ასე რომ, მინამდე თავს ვუხრი ამ ადამიანებს, ჩემს წარსულს, ჩემი ერის წარსულს მათი სახით და, რა

თქმა უნდა, ამ ფილმის შემქმნელებს, რომლებმაც ძალიან დიდი საქმე გააკეთეს — კიდევ ერთხელ გვიჩვენეს და გვასწავლეს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები“.

**მეზა ძიგუა, თეატრმცოდნე:** „ნანა ჯანელიძე განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ კინემატოგრაფიაში. მისი შემოქმედების იმპულსი ეროვნულ ფასეულობათა მიმართ (ზოგჯერ ამკარა, ზოგჯერ მივიწყებული, ზოგჯერ სრულიად გამოუვლენელი) რუდუნებით მსახურებაა. გაცვეთილ ფრაზას თუ გამოვიყენებთ, ეს პატრიოტული მუხტი ბევრი სხვა ხელოვანის ნაღვანსაც ასულდგმულებს, მაგრამ ნანა ყველასაგან გამოირჩევა მოულოდნელობებით აღსავსე არაორდინალური ხედვით, მხატვრულ-მეტაფორული აზროვნების სინატიფითა და უჩვეულო სახიერებით. მშვენიერების მისეული აღქმა ყოველგვარ ჩარჩოებს ამსხვრევს; რეჟისორი მეტად ორგანულად ახერხებს ნაშალოს ზღვარი ამქვეყნიურ ცხოვრებასა და წარმოსახვით საერთო შორის და რაც ყველაზე მთავარია — მაყურებელი აქციოს ამ ღვთიური სამყაროს თანამონაწილედ.

ფილმმა სწორედ ეს ასოციაციები დაბადა ჩემში“.

**ჯულიეტა ყოლბაია, ფილოლოგი:** „სიტყვები არ მყოფნის, ემოციებით დატვირთული ვარ და ძალიან ბედნიერი. დიდი მადლობა სულიერებისა და კულტურის ცენტრს, რომ ეს ბედნიერება მარჯა დღეს“.

**ხათუნა ლაქირბაია, ბიოლოგი:** „არაჩვეულებრივი ფილმი იყო, შემეცნებითი, სულ სხვაგვარად დაგვანახა და გვაგრძობინა, თუ რა საუნჯის მფლობელები ვართ და როგორი მოფრთხილება სჭირდება მას. დიდი მადლობა ამისათვის“.

## ბავშვთა სულიერი ზრდის სემსესურში

სულიერებისა და კულტურის ცენტრის ძალისხმევით დაარსებისა მიმართულია ბავშვებისა და მოზარდთა სულიერი განვითარებისათვის ზრუნვისკენ, რადგან ისინი არიან მათი მრავალჭირნახული, მშობლიური კუთხიდან გამოძევებული ოჯახის უფროსების ნუგეში და სიხარული, ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებლები. ჩვენი ყურადღების სფეროში მოექცნენ ბავშვები, რომელთაც უკვე სკოლის ასაკში გარკვეული ნიჭი გამოავლინეს ლიტერატურისა თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგში. ისინი

განათლებას თბილისის სხვადასხვა დაწესებულებებში იღებდნენ, ჩვენ კი ვებმარებოდით იმაში, რომ წარმოგვეჩინა მათი წარმატებები, საჯარო გაგვეხადა ყოველი წინადადება მათი ნაბიჯი, რათა უფრო მეტად წაგვეხალისებინა, ახალი იმპულსი მიგვეცა ბეჯითი შრომისთვის. ამ მიზნით ყოველწლიურად ეწყობოდა მასტერ-კლასები, გამოფენები, საკვირაო სკოლა, კონცერტები, შეხვედრები... პირველივე წლებიდან ცენტრთან არსებობს საეკლესიო ნაქარგობის წრე, სადაც სხვადასხვა პერიოდში ქალისთვის ესო-

დენ საჭირო საქმიანობას ეუფლებოდნენ დევნილი გოგონები. მათ მიერ დამზადებული ნაკეთობების გამოსამზეურებლად არაერთი გამოფენა-გაყიდვა მოვანყვეთ ცენტრის ოფისსა თუ ღია ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა თუ ქვაშეთის ეკლესიის სამრევლო სკოლის დარბაზში. ჩვენს ღონისძიებებში პირველი ნაბიჯები გადადგეს დღეს უკვე ისეთმა მუსიკოსებმა, როგორებიც არიან: მარიკა გულორდავა (ამჟამად ვოკალისტთა ორგზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი), სალომე ჯიქია

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

(ნელს ქ. რომში გამართული მასტერ-კლასების მონაწილე, რომელსაც მოჰყვა შეთავაზება იტალიაში მოცარტის ოპერის დადგმაში მონაწილეობაზე), ანა ყიფიანი (მოსკოვის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი), ალუდა თოდუა (წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია), მხატვარი დავით კვანტალიანი (რომლის გამოფენა საქართველოს მუსიკალური საზოგადოებით დარბაზში მოვანყვეთ, ამჟამად შემოქმედებით გზას წარმატების განაგრძობს ალმა-ატაში) და სხვ. ცენტრის ინიციატივით პერიოდულად იკუროთხებოდა სკოლები და ბავშვები ეზიარებოდნენ მოძღვრების

გულებილ ქადაგებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სისტემატურად ვცდობოდი მათ ჩართვას თბილისის კულტურული ცხოვრების ფერხულში. ერთი მხრივ ღონისძიებებზე ვინვედით ადგილობრივ წარჩინებულ ახალგაზრდებს, მეორე მხრივ კი მათ ვრთავდით ქალაქის მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენებში. ასეთი იყო, მაგალითად, საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა მუსიკის ტრადიციული კვირეულის ფარგლებში, რომელიც ამჟამად მისი დამაარსებლის, კომპოზიტორ მერი დავითაშვილის სახელს ატარებს, 2008 წლიდან ცენტრის ინიციატივით კონცერტ „ჩემი აფხაზეთის“ დაწესდა. წლებიდან კონცერტმა (4 ივნისი) კიდევ ერთხელ ცხადვყო, თუ რაოდენ თვალსაჩინოა ნორჩ მუსიკოსთა: ნიჭიერთა

ათწლედის მოსწავლეების ნინო და ევე-მია ბუკიების (პედაგოგ ქეთევან თუმშალიშვილის კლასი), ნიკოლოზ მანაგაძისა და ანა კვარაცხელიას (პედაგოგ დოდო ცინცაძის კლასი) და თბილისის სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლა „მუზის“ აღსაზრდელების: სალომე ქარაიას, ნია ლურწკაიას (პედაგოგ ნანა შანიძის კლასი) და მარიამ, თამარ და ალექსი ფანჩვიძეების წინსვლა. კონცერტი საინტერესო იყო მრავალფეროვანი რეპერტუარით. ზოგიერთი მონაწილის სამემსრულებლო დონე კი იმედს გვაძლევს, რომ უფრო წარმატებული მომავალი ელით. კონცერტს დაესწრნენ კომპოზიტორები: ვაჟა აზარაშვილი, ელიზბარ ლომდარიძე და მუსიკოლოგი, კვირეულის ორგანიზატორი ნინო მესხი.

# გლობალიზაცია და თანამედროვე სოციალის წესი



ეკლესიის დამოკიდებულება გლობალიზაციისადმი და სხვ. მრავალი შეკითხვა დაისვა, რომლებზედაც ამომწურავი პასუხი მიიღეს. მამა ბიძინას მამაშვილური, დინჯი საუბარი, საინტერესო ცხოვრებისეული მაგალითების მოხმობა სტუდენტებს გულახდილობისაკენ განაწყობდა.

სასულიერო აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის თანამშრომლები. ძალიან დიდ პატივს ვცემთ მამა ბიძინას, როგორც მჭევრმეტყველ, მრავალ სფეროში გათვითცნობიერებულ მოძღვარს და ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს მოწვევას დათანხმდა. გვინდა დავუახლოვოთ ახალგაზრდები ეკლესიას, რაშიც დღევანდელი შეხვედრა დაგვეხმარა. იმედი გვაქვს, მსგავსი საუბრები გაგრძელდება“.

ქაბატინი ავალიანი,

ხალხმრავლობა იყო საქართველოს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მ.წ. 9 მაისს. კლუბ „ახალგაზრდობა ახალგაზრდობისათვის“ წევრების მოწვევით უნივერსიტეტისა და სასულიერო აკადემიის სტუდენტებს ესაუბრა თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა (გუნია). საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. უამრავი რამ აინტერესებდათ ახალგაზრდებს: თანამედროვეობა და გლობალიზაციის საკითხები,

კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი: „ეს შეხვედრა ჩვენი ინიციატივით ჩატარდა, მიზანი იყო ახალგაზრდობის გათვითცნობიერება ეკლესიურ საკითხებში. გვინტერესებდა ეკლესიის თვალთ დაწახული გლობალიზაცია — რა არის იგი და რა მოაქვს მას საზოგადოებისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ კლუბის წევრები,



# სამეცნიერო სემინარი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი „ეროვნული თვითმყოფადობა საკაცობრიო ღირებულებების კონტექსტში“. დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებებით წარსდგნენ ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი) — „რელიგია და კულტურა“ და ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილი — „სარწმუნოებისა და კულტურის მიმართებისათვის“.

მეუფე სერგიმ ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ მავანთა მტკიცებით, რელიგია თითქოს ხელს უშლის კულტურულ განვითარებას, რითაც დისკრედიტაციას უწევს რელიგიას. მათ მიაჩნიათ, რომ „თუ თანამედროვე ტექნოლოგიები არ ვითარდება, ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის კულტურულ და გონებრივ განვითარებაზე“. სინამდვილეში კი, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ დააბინძურა ჰაერი და წყალი, მავნე და გამოუსადეგარი გახდა საკვები და აუტანელი მინიერი ცხოვრება. „უღმერთოდ ადამიანი რასაც აკეთებს,

ქვეცნობიერად თავისი თავის სანინაღმდეგოდ გამოსდის... რას აძლევს ადამიანს რელიგია და ღვთის მცნებების დაცვა? — სვამს კითხვას მეუფე და იქვე პასუხობს: „ზნეობას, რომელიც კულტურის უმაღლესი საფეხურია“. მან ისაუბრა, აგრეთვე, სეკულარული და რელიგიური კულტურის განსხვავებაზე, იმაზე, რომ ჭეშმარიტი კულტურა რელიგიის გარეშე არ არსებობს და ბოლოს აღნიშნა: „რელიგიის გარეშე შეუძლებელია ღრმა, ჭეშმარიტი კულტურის მიღწევა, ვინაიდან კულტურას აუცილებლად სჭირდება ადამიანის თავდადება, ასკეტური ცხოვრება და ბევრ ჩვეულებაზე უარის თქმა... მორწმუნე ადამიანის მიმართულა არის სრულყოფა, რათა შეუერთდეს ღმერთს, ხოლო ამისათვის უნდა დაიხვეწოს და გამოინთოს დედამინაზე“.



დიმიტრი თუმანიშვილმა ისაუბრა როგორც კულტურის, ასევე რელიგიათა ისტორიისათვის მეტად საგულისხმო ახალი სარწმუნოების დამკვიდრების თანმდევ ცვლილებებზე, განსაკუთრებით, თუ იგი სხვა ქვეყნიდანაა შემოსული, აგრეთვე იმაზე, თუ რაოდენ ძლიერ ზემოქმედებას ახდენს რელიგიის შეცვ-

ლა ზნეობაზე, სამართალზე, ცხოვრების წესზე.

მოხსენებების შემდეგ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტმა ისაიამ (ჭანტურია), სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა), რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა

იოანემ (გამრეკელი), გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა), არქიმანდრიტმა ადამმა (ახალაძე), საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა მარიამ დიდებულმა.

# „იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩუენისა ჩუენ ზედა...“



დიდი მოვლენის მომსწრე გახდა საქართველო: უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II კვირაცხოვლობას, 12 მაისს, აკურთხა ახალ აია სოფიად ნოდებული ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი ფოთში. ამ ბედნიერი წუთების მომსწრენი და თანამონაწილენი გახდნენ ჩვენც, დეკანოზ ბიძინა გუნიას მრევლი.

დიდი ხანი ვემზადებოდით ამ მოლოცვითი მოგზაურობისათვის. ნებისმიერი წმიდა ადგილის ნახვა, უფლის სახლში მუხლმოყრა ნეტარების მომცველია მორწმუნისათვის, მაგრამ ფოთში ამ უდიდეს დღესასწაულზე დასწრება განსაკუთრებული იყო. ჩვენ საუკუნის მოვლენის თანაზიარნი გახდით, პირველმაზიარებელთა რიცხვს მივებამეთ.

თბილისიდან ძალიან ადრე გავედით, ჯერ რიჭრაჭიცი კი არ იყო შემოსული, რათა მსახურებაზე არ დაგვეგვიანებოდა. საოცარი სანახავი იყო ფოთი: კაშკაშა, მოალერსე მზის სხივებზე დიდებულად ელავდა ტაძარი — თავისი არქიტექტურული სტილითა და კონსტრუქციით სრულიად განსხვავებული ჩვენთვის აქამდე ნაცნობი ტაძრებისაგან. ზღვა ხალხს მოეყარა თავი ეზოშიც და ეზოს გარეთაც. ყველა გრძნობდა, თითქოს, წამის სიდიადეს — არავითარი

ზედმეტი ხმაური. მხოლოდ მონიწება და კეთილგანწყობა სუფევდა ირგვლივ. ტაძარშიც შევედით — გაშლილ სივრცეში კედლებიდან თუ საკურთხეველიდან წმიდანთა ხატები გადმოგვეცქეროდნენ და კიდევ ერთხელ გვახსენებდნენ დავით მეფის მოძღვრებას: „და იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩუენისა ჩუენ ზედა და საქმენი ხელთა ჩუენთანი წარჰმართენ ჩუენ ზედა, და ქმნული ხელთა ჩუენთანი წარგვიმართე“ (ფსალმუნი, 89-16).

„ეს ტაძარი აღდგომის სახელობისა და საქართველოს განახლებისა და აღდგომის სიმბოლოა. დღეს ჩვენ შევთხოვეთ უფალს, რათა მოგვანიჭოს მშვიდობა და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა. ადამიანის ცხოვრება, ისევე, როგორც მთელი ერის ცხოვრება, განსაცდელეებით არის სავსე, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი განაგებს ამ ქვეყანას და ყოველი ადამიანის ბედს. უფალი იქ წყვეტს და აქ სრულდება“, — აღნიშნა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ქადაგებაში.

საზეიმო წირვის დასრულებისა და ზიარების შემდეგ სანაპიროს მივაშურეთ. როგორ მოგვნატრებოდა, თურმე, ჩვენთვის ასე ახლობელი, მშობლიური ზღვა, ტალღების ჩუმი შრიალი, იოდით

გაჯერებული მლაშე სუნი, დანამული ქვიშა და სამყაროს უსასრულობის შეგრძნება!..

ზღვასთან აღერსით გული ვიჯერეთ და ახლა ხობისკენ გავემართეთ. ხობის მონასტერი (ნოჯიხევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. მონასტერი) მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევის ტერიტორიაზე, ხობის ცენტრიდან 4 კმ-ში. აგებულია XIII-XIV სუკუნეებში, ტაძრის აშენება უკავშირდება გუბაზ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ცოტნე დადიანის სახელებს. აკაკი წერეთელმა ხობის მონასტერს მიუძღვნა პოემა „ნათელა“. ტაძარი შემკულია ჩუქურთმებითა და ფრესკებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აქ იყო დასვენებული ღვთისმშობლის კვართი, წმ.გიორგის ბარძაყი, წმ.მარინეს მკლავი, წმ.კვირიკეს ხელის მტევანი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი და სხვა სინდინდები. მონასტერი არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენს. შუა საუკუნეებში ხობის მონასტერი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ განისვენებს წმ. ცოტნე დადიანი. აქვე იყო დაბრძანებული საგანგებოდ ფოთის საკათედრო ტაძრისათვის დანერილი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი — კოლხეთის ღვთისმშობელი. მონიწებით მივეახლეთ სინმიდებებს, ვემთხვეით ხატებს, მოვესიყვარულეთ ჟამთაგვისაგან შეფერილ უძველეს ლოდებს, ქედი მოვუხარეთ წინაპართა აჩრდილებს.

მონასტრის ეზო ამქვეყნიურ სამოთხეს ჰგავდა: ასწლოვანი ხეებით, მწვანეში და ყვავილებში ჩაფლული, იდუმალებით გაჯერებული. ჩვენს წარმოდგენაში სულიერი სავანე სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო...

ბინდიც წამოგვეპარა. უხალისოდ ჩავსხედით მიკროავტობუსებში — არ გვეთმობოდა, უკან გვენეოდა ჩვენს დიდებულ წარსულზე, ჩვენი წინაპრების შეუბღალავ რწმენაზე მოღალადე დიდებული ძეგლი.

თუმცა წინ კიდევ მრავალი სალოცავი გველის — მრავალტანჯულ, მაგრამ უფლის ნათელით გაბრწყინებულ ქართულ მინაზე...

# ჩა არის მამყდი...

ამ თემას მიეძღვნა პოეზიის საღამო, რომელიც მიმდინარე წლის 15 მაისს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოუწყო პატარა მეგობრებს თბილისის ზღვაზე მდებარე ილია ვეკუას სახელობის #3 საჯარო სკოლიდან. მთავარი სტუმარი ქალბატონი ელდინო სალარაძე გახლდათ. ქალბატონმა ელდინომ უდიდესი სიყვარულითა და მონივნებით, პოეზიის ენით განმარტა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამშობლოს სიყვარული, ჩვენი სარწმუნოება.

მსახიობმა დიდი გრძნობით წაიკითხა ნანყვეტი კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენიდან“ (არსაკიძის სიკვდილის ეპიზოდი), რამაც დამსწრეთაგან გულგრილი არავინ დატოვა. ისეთი განცდა გვექონდა, რომ ჩვენც ვიყავით მომსწრენი ამ სურათისა. ბავშვები აცრემლებული თვალებით აღნიშნავდნენ, რომ მათ სრულიად ახალი სამყარო შეიცნეს — ხელოვნებისა და პოეზიის სამყარო... მოსწავლეთა თხოვნით მსახიობმა რომანიდან მეორე ნაწყ-

ვეტიც (შორენას მონასტერში ყოფნის ეპიზოდი) წაიკითხა....

სალამოს ბოლოს ქალბატონმა ელდინომ ძალზე სასიამოვნო ინფორმაცია გაგვაცნო, რომ გამოიცა მისი ლექსების კრებული „რა გესაქმება, სიყვარულო, დედამინაზე?!“ და წაგვიკითხა თავისი ლექსი „სალომეა როკავს“...

აღნიშნული ლექსების კრებული მან სკოლას უსახსოვრა, რამაც ბავშვებში დიდი სიხარული და ინტერესი გამოიწვია...

ეს იყო ძალიან ლამაზი და თბილი საღამო, რომელიც სახელოვანმა მსახიობმა დიდი სიყვარულით აჩუქა ბავშვებს...

**შორენა განაჩელია**

# გვითხანთ საქართველოსათვის



მამუკა აბლოთია, რომელთაც თავის გამოსვლებში გააანალიზეს საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება. გამოითქვა იმედი, რომ მიმდინარე პროცესები როგორც სახელმწიფო, ისე სახალხო დიპლომატიის დონეზე დადებით ზემოქმედებას მოახდენს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა (1 აპრილს) დევნილობაში მყოფ აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა, ინტელიგენციისა და უზუცესების წარმომადგენლებთან შეხვედრა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ვილენ ალავიძე, ალექსანდრე მიქაძე, ლუღუნი ყურაშვილი, მიხეილ ნინიძე, თენგიზ პაჭკორია,

შეხვედრაზე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება და დაისახა მოქმედების გეგმები, რათა ჩვენ გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც უკვე ორი ათეული წელია ვიმყოფებით.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა ერთობლივი ეკონომიური პროექტების განხორციელების აუცილებლობა, რადგან აფხაზური მხრიდან ამის რეალური

ინტერესი არსებობს. თუმცა, გაურკვეველ მიზეზთა გამო, სახელმწიფო იჩენს არასაკმარის აქტიურობას, რითაც იკარგება უნიკალური შანსი, ბიზნესის მეშვეობით ურთიერთობების დროულად აღდგენა-გამყარებისა.

აღინიშნა ეკლესიის უდიდესი როლი კონფლიქტის მოგვარებაში, რადგან სწორედ ეკლესიაა ის ერთადერთი ძალა, რომელიც დღემდე რუდუნებით ასრულებს თავის მისიას და ყველაფერს აკეთებს იმ იარების მოსაშუშებლად, რომლებიც დროთა უკუღმართობის გამო გაჩნდა ჩვენ შორის.

საუბარში გამოიკვეთა პროექტებში ახალგაზრდა თაობის ჩართვის აუცილებლობაც, რადგან სწორედ მათ უნდა ააშენონ ის ძლიერი სახელმწიფო, სადაც მშვიდობიანი ცისქვეშ იცხოვრობენ ყველა ერის წარმომადგენლები.

შეხვედრამ ჩაიარა თბილ და მეგობრულ გარემოში, მონაწილეებმა სევდანარევი მონატრებით გაიხსენეს ის ბედნიერი დრო, როდესაც ყველა ერთიან საქართველოში ვცხოვრობდით.

# ქალები და ევროპა ერთეულ მოქალაქე

მშვიდობის მსოფლიო ფედერაცია (UPF), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასამთავრობო, საკონსულტაციო ორგანოს წარმომადგენს, დაარსდა 2005 წელს. მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი იყო მსოფლიოს უდიდესი მოქალაქე, „პლანეტის ადამიანად“ წოდებული, მშვიდობისათვის მებრძოლი, ან გარდაცვლილი მუნ სონ მიუნი. ორგანიზაციის დებულებიდან გამომდინარე, მის მიზნებს წარმოადგენს: განათლების, ხელოვნების, სპორტის, საქველმოქმედო საქმიანობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით მშვიდობის კულტურის დამყარება; სახელმწიფოთაშორისო და რელიგიათაშორისო თანამშრომლობა მშვიდობისა და თანხმობისათვის; კონფლიქტების თავიდან აცილება და აღკვეთა;

მყარი ოჯახების შექმნა — მშვიდობის განმტკიცების საქმეში პირადი წვლილის შეტანის მიზნით; მშვიდობის განმტკიცების საქმეში მსოფლიო რელიგიების გავლენის სწორად გამოყენების მიზნით გაეროსთან რელიგიათაშორის ურთიერთობების საბჭოს შექმნის ინიციატივა და სხვ. დღეისათვის UPF -ის კოალიციაში შემავალი ათასობით არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქტიურად მოქმედებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. UPF-საქართველოს თავმჯდომარეა ნიჭიერი ახალგაზრდა ვიტალი მაქსიმოვი.

სწორედ UPF-ის ინიციატივით ჩატარდა სემინარი თემაზე „ქალები და მშვიდობა მთელ მსოფლიოში“ მ.წ. 23 მაისს სოფ. ქვეშეთში, რომელშიც მონა-



წილობა მიიღო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმაც. სემინარზე მოწვეული იყო UPF-ის ევრაზიის განყოფილების სამშვიდობო ინიციატივების კოორდინატორი ჟაკ მარიონი. იგი დამსწრეებს ესაუბრა ქალის როლზე მშვიდობის დამყარების საქმეში ძველ აღთქმასა და ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაყრდნობით, წარმოადგინა საინტერესო აუდიო და ვიდეომასალა, უპასუხა მონაწილეთა მრავალ შეკითხვას.



# წმიდა იოანე (თორნიკე) მოაწმობელი (X) 12 (25) ივნისი

წმიდა თორნიკე იყო ქართლის სპასალარი. სახელოვანი და ბრძოლებში წარმატებული, ქველი და უებრო რაინდი გამორჩეულად უყვარდა მეფე დავით კურაპალატს, მაგრამ ღვთისთვის სათნომყოფელმა უმჯობესი გამოიჩინა — მონაზვნობის ღვაწლი იღო თავს და უღუმბოს მთას მიმართა წმიდა იოანეს (ხს. 12 ივლისს) მოსაძებნად. უღუმბოზე მას აუნყეს, რომ ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკემ მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზვნებისაა ჴელთაგან იოვანესთა მიილო“. ღირსი მამები წმიდა ათანასეს ლავრაში დამკვიდრდნენ.

იოანეს მიერ თორნიკეს კურთხევის შემდეგ იმდენმა ქართველმა მოიყარა თავი ათანასეს ლავრაში, რომ იოანემ, წმიდა ათანასეს კურთხევით, ქართველთათვის ცალკე ააშენა ეკლესია იოანე მახარებლის სახელზე. ეკლესიასთან ერთად ქართველებმა სენაკებიც ააშენეს და „მუნ იმყოფებოდეს მრავალჟამ ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი“.

ამ დროს საბერძნეთის მცირეწლოვან მეფეებს, ბასილის და კონსტანტინეს აუმხედრდა სარდალი ბარდა სკლიაროსი. დედოფალმა თეოფანიამ ბრძანა: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“, წარჩინებული კაცი სევასტოფორი გაგზავნა წმიდა მთაზე და ქართველ მამებს სთხოვა: „უღმრთო სკლიაროსი გაგვდგა და ჴმელით კერძო ყოველ დაიპყრა. ან ვევედრებით სინმიდესა თქუენსა, რაათა თვნიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე თორნიკე მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“. თორნიკემ შორს დაიჭირა თხოვნა: „მიჯმნიეს ერთგზის და არღარა უკუნ ვიქცე“. ათანასემ და იოანემ სთხოვეს თორნიკეს, ხლებოდა დავით კურაპალატს და დახმარებოდა ბერძენთა მეფეს.

ხანგრძლივი მუდარის შემდეგ თორნიკემ შეისმინა მამათა ვედრება. ბასილი და კონსტანტინე მადლიერების ნიშნად ფეხებში ჩაუცივიდნენ წმიდა მამას, დედოფალმა კი უთხრა: „რაცა ამათ ობოლ-

თა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა“.

თორნიკემ ისარგებლა შემთხვევით და „მრავალფერთა საქმეთათს ამხილა დედოფალი“. მან სიმდაბლით შეინყნარა მხილება და უთხრა: „წმიდაო მამაო, რაცა მიბრძანოს მამობამან თქუენმან, თქუენსა ბრძანებასა არა გარდავგდე, ოდენ, ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომადა თავს-იდე და რომლითაცა სახითა გნებაეს, წარვედ კურაპალატის წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუნყე და ვესაგ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთო სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ“.

თორნიკე საქართველოში წამოვიდა და ვედრების ეპისტოლენი მიართვა კურაპალატს. მეფემ დიდად გაიხარა ყოფილი სპასალარის ნახვით, შეინყნარა დედოფლის თხოვნა და დამხმარე ჯარის სარდლად თვითონ თორნიკე დანიშნა. წმიდა მამა დიდ უარზე იდგა, მაგრამ რაკი აღარ მოეშვენ, დასთანხმდა და ქართველთა მხედრობის ჩაუდგა სათავეში. ღვთის შეწევნითა და თორნიკეს სარდლობით ქართველთა 12-ათასიანმა ლაშქარმა სასტიკი დამარცხება აგემა ღვთისა და მეფის წინააღმდეგომ სკლიაროსს და საბერძნეთიდან განდევნა.

გამარჯვების შემდეგ თორნიკემ შვებით მიაშურა ათონის მთას, „ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორი უყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კვლად მოაქცია მშვიდობით“.

ღირს მამათა, იოანეს და იოანე თორნიკე-ყოფილის ლოცვითა და ღვაწლით ათონზე მომრავლებული ქართველები იოანე ნათლისმცემლის ეკლესიამ და ძმათა სენაკებმა ვერ დაიტია და წმიდა მამებმა ახალი ეკლესია-მონასტრების აშენება იდვეს თავს. სკლიაროსზე გამარჯვებისას მიღებული საჩუქარი — დიდძალი სიმდიდრე — თორნიკე-ყოფილმა მთლიანად იოანეს გადასცა და სულ მალე ქართველებმა მთაწმინდაზე კიდევე ორი ეკლესია ააგეს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

და წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის.

თორნიკე-ყოფილი საოცარი მორჩილებით გამოირჩეოდა: „განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნება თვისი მოიკუეთა“, სრულებით მიენდო მოძღვარს და ესევეთარი მჭურვალეაა აჩუენა, რომელ, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, თვნიერ მისისა ბრძანებისა, არცამცა სიტყუა ერთი აღმოთქუა, არამედ ყოველსავე მამა იოვანე განაგებნ და მისცემნ, ვითარცა ენების და სადაცა ჯერ იყვის“.

სიმდაბლით, სინრფობითა და უმანკოებით გამორჩეული მოღვაწე ბერი მამა იოანეს ეუბნებოდა: „მამაო, თუთ იცი, რომელ დიდად ცოდვილი ვარ და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი სინმიდისა თქუენისა არა ვარ, არამედ ნება ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემა; ვითარცა გნებაეს, აცხოვნე სული ჩემი“. რადგან თორნიკე-ყოფილი მრავალ ომში გამარჯვებული სპასალარი იყო, გარდასულ ამბავთა მოგონება უყვარდა. მონასტრის ძმებიც ხშირად აამბობინებდნენ მას „საქმეთა საგმიროთა“. წმიდა იოანემ ურჩია: „ან დაცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობა და ამიერიტან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესსა“. გაბრიელ ხუცესის პირიდან არანაირი ამსოფლიური სიტყვა არ ამოდიოდა, თვნიერ საღმრთოთა და სულიერთა. წმიდა იოანე თორნიკე-ყოფილი ცრემლის ღვრით ჩაუვარდა ფერხით მოძღვარს და შეჴლალადა: „რად დაიდუმე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?“ მამა იოანემ წამოაყენა მოხუცებული და უთხრა: „უფალმან შეგინდვენ, გარნა ან ხოლო ეკრძალენ!“ არავის გაუგონია ამის შემდეგ იოანე-თორნიკეს საუბარი, მან მდუმარებითა და ღვთის სასოებით გალია ცხოვრების დარჩენილი დღეები და მშვიდობით მიაბარა სული უფალს.

*„წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2008 წ. 6. 11*

## საკლესიო კალენდარი

- 1 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-2 შვიდეულის ორშაბათი
- 2 ივლისი (სამშ.)
- 4 ივლისი (ხუთშ.)
- 7 ივლისი, სულთმოფენობიდან მე-2 კვირა
- 8 ივლისი (ორშ.)
- 10 ივლისი (ოთხშ.)

- ღირსი მიქაელ უღუმბოელის ხსენება (VII.); პატრიკ-პავლოპის მარხვის დასაწყისი
- უფლის ძმის, მოციქულ იუდას ხსენება;
- წმ. დიდებულთა მონამეთა საქართველოს მეფეთა არჩილისა (744წ.) და ლუარსაბის (1622წ.) ხსენება;
- შობა პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
- ღირ. მონ. ფებრონია ქალწულის ხსენება (დაახ. 304წ.);
- ღირ. გიორგი მთაწმიდელისა (1065წ.) და სრულიად





# ჩვენს მოძღვარი

17 მაისს დაგეგმილმა გეი-აღლუმმა, რომელიც სახელდება იყო, როგორც „ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია“, საზოგადოების უდიდეს ნაწილში სამართლიანი გულისწერომა გამოიწვია. ამიტომ, იმავე დღეს მართლმადიდებელ მოძღვართა და მათი მრევლის, საზოგადოების წარმომადგენელთა და ასევე სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა ადვოკატთა მიერ ჩატარდა საპროტესტო მსვლელობა. ამ დღეს თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა საზოგადოებაში დიდი რეზონანსი ჰპოვა. მასმედიაში ცალსახად ნეგატიურად შეაფასა ღვთისმსახურთა და მრევლის გამოსვლა თბილისის ქუჩებში და უკიდურესად ტენდენციურად ასახა მოვლენები.

საზოგადოების დიდ ნაწილში ეს მოვლენები შეფასდა, როგორც პროვოკაცია ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით. ეკლესიის პოზიცია წმინდა წერილს ემყარება, რომელიც, არაორაზროვნად, ჰომოსექსუალიზმში დაგმობილია. სოდომი და გომორი სწორედ ამ ცოდვის გამო დასაჯა უფალმა. წმიდა წერილი არის საფუძველი ჭეშმარიტებისა. ჭეშმარიტება კი ტრანსცენდენტულია და იგი დროსა და სივრცეში უცვლელი რჩება. წმიდა მოციქული პავლე საცდურთაგან გვიცავს და გვაფრთხილებს: „ნუ სცდებით, არცა მძაფვთა, არცა კერპთმსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა, არცა მამათმავალთა, არცა ანჭვართა, არცა მძარავთა, არცა მემთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღმრთისაი ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 9-10). დღეს კი ჩვენს საზოგადოებას უჭირს იმაზე შეთანხმება, რომ ცოდვას თავისი სახელი უწოდოს და ამის სანაცვლოდ, ღვთისმსახურებს ძალადობაში ადანაშაულებს.

გვესაუბრება ამ მოვლენების თვითმხილველი, საპროტესტო მსვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, დეკანოზი ბიძინა გუნიბაძე.

– მამა ბიძინა, თქვენ იმ დღეს ოჯახის წევრებთან ერთად იყავით მისული გეი-აღლუმის ჩატარების წინააღმდეგ მიმართულ მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად. რამ განაპირობა თქვენი სამოქალაქო აქტივობა?

– ჩვენ ერთობ რთულ საკითხს შევეხეთ და მიჭირს კიდევ საუბარი, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევ ამ თემის განხილვას, რათა სამომავლოდ მაინც ავიცილოთ თავიდან მსგავსი მიუღებელი მოვლენები.

მინდა ყველას მოვუწოდო სიმშვიდისა და ურთიერთშემწყნარებლობისაკენ.

განა დაგვაგინყდა ქართული სიბრძნე: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ჩვენ ყველა ერთ ქვეყანაში – საქართველოში ვცხოვრობთ და ყველამ უნდა ვიზრუნოთ ცივილური ფორმებით მდგომარეობის მოგვარებისთვის.

საუბარს იმ თემით დავინწყებ, რომელზედაც დღეს უკიდურესადაა აქცენტირებული საზოგადოების ყურადღება და რაშიც პირველი ვიოლინოს როლს მასმედია თამაშობს. ეს თემა **ძალადობა** გახლავთ. საკითხის უკიდურესად მიკერძოებული და ცალმხრივი განხილვის გამო საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ეკლესია და ღვთისმსახურნი ლამის მოძალადეებად გამოაცხადონ, ხოლო 17 მაისს ლგბტ საზოგადოების აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები კი დაფნის გვირგვინებით შეამკონ.

აქ, ანაზად, დავით გურამიშვილის შემდეგი სიტყვები მასხენდება:

– „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად? ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად“.

– მამაო, თქვენ საუბარი ძალადობის თემით დაიწყეთ. იქნებ მეთი გარკვეულობა შევეიტანოთ ამ საკითხში.

– ძალადობა მრავალსახოვანია და, ერთმნიშვნელოვნად, მხოლოდ ფი-

ზიკურ ძალადობას არ გულისხმობს, რაზეც ასე პედალირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთი ფრთა. არ შევუდგებით რა ძალადობის სხვადასხვა ფორმების განხილვას, **კრიმინალური ძალადობის** მხოლოდ ორ სახეზე გავამახვილებთ ყურადღებას: **ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურზე. აღსანიშნავია, რომ ძალადობის ეს ორივე ფორმა დასჯადია.**

სპეციალისტთა განმარტებით, **ფსიქოლოგიური ძალადობა** მიზნად ისახავს დაუპირისპირებს მსხვერპლს საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვოს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადეკვატურ აღქმაში. ძალადობის ამ სახეს მიაკუთვნებენ: შანტაჟს, დამცირებას, შეურაცხოფას, მუქარას, ან სხვა ისეთი მოქმედებას, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. ფსიქოლოგიური ძალადობა სხვადასხვა ფორმებით ვლინდება მოზარდების მიმართაც. ძალადობის ამ ფორმას, ფიზიკური ძალადობისაგან განსხვავებით, ძალადობის „ფარულ“ ფორმადაც მოიხსენიებენ, რისი მიზეზიც, ასე ვთქვათ, მისი „შეუმჩნეველი“ კრიმინალური არსი გახლავთ.

17 მაისის პროცესი მასმედიაში გარკვეული რაკურსით წარმოგვიდგინა, რაც საშუალებას არ იძლევა სრულად გავერკვეთ რეალურად მომხდარ მოვლენებში. მასმედიაში, ასევე, ძალისხმევა არ დაიშურა, საზოგადოება ვირტუალურ სივრცეში წარმოჩენილი კადრების სისწორეში დაერწმუნებინა.

განვითარებული მოვლენების არათანმიმდევრული წარმოჩენის საილუსტრაციოდ, ერთ მაგალითს მოვიყვან. მავანს რომ მოენადინებინა და მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა ისე აღენერა, თითქოსდა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო გარდა იმისა, რომ 1945 წელს ამერიკის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ჯარები შეიჭრნენ ბერლინში და გერმანია გავლენის ზო-

ნებად დაინანილეს, ეს ხომ არამართებული იქნებოდა?! ეს რომ მართლაც ასე მომხდარიყო, ალბათ, ნიუნბერგის პროცესი ამერიკის, ინგლისისა თუ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა გასამართლებით უნდა დასრულებულიყო.

ზემომოხმობილი მაგალითი შედარების იდეალურ ნიმუშად არ გამოდგება, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ მასმედიაში შექმნილია აჟიოტაჟმა, განვითარებული მოვლენების არათანმიმდევრული, არასწორი სურათი „დახატა“. არ ვიცი ეს რას მივანერო, ამ საკითხებში გაუცნობიერებლობას თუ მიზანმიმართულ ქმედებას. ორივე შემთხვევაში, ნებისთი თუ უნებლიედ, საზოგადოების ინფორმაციულ დეზორიენტაციასთან გვაქვს საქმე, რასაც შეფასებათა არაადეკვატური ტალღა მოჰყვა.

არავინ იფიქროს, ვამართლებდე ძალადობას, ერთმნიშვნელოვნად უპირობოდ ვაცხადებ: **– არა ძალადობას!** ძალადობა მიუღებელია! მიუღებელია ძალადობის ნებისმიერი გამოვლენა, და არა მხოლოდ ფიზიკური ფორმა ძალადობისა, როგორც ამას მავანნი გვიკვირებენ.

– მამაო, 17 მაისს განვითარებული მოვლენების რა გარემოებებს გულისხმობთ, რომელთა გაუთვალისწინებლობამაც საზოგადოების ინფორმაციული დეზორიენტაცია გამოიწვია?

– 17 მაისს ლგბტ-ს აქცია გეი აღლუმით და „ფლეშმობით“, დაგეგმილი იყო რუსთაველის გამზირზე პარლამენტის (ყოფილ) შენობასთან. ამ გარემოებამ უმძაფრესი ფორმით წამოჭრა არაერთი პრობლემა, რაც, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირ უკავშირდება **ინტელექტუალური ფორმებით განმრყენელი ზემოქმედებისაგან ბავშვთა დაცვის საკითხს!** ხომ არ დაგვაგინყდა, რომ პარლამენტის (ყოფილი) შენობასთან მახლობლად **თბილისის პირველი**

(გაგრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

**გიმნაზია** მდებარეობს, სადაც ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს, ხოლო სულ რაღაც ოც მეტრში **მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეა** განთავსებული? იქნებ, ისიც არ ვიცოდით, რომ იმ დღეს, პარასკევს, დღის 12-13 საათზე, სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, ხოლო მოსწავლეთა სასახლეში კი სხვადასხვა ჯგუფებში მოზარდები მეცადინეობდნენ? ამ დღეს ხომ არა ერთ სკოლაში **მეთორმეტე კლასელებს ბოლო ზარი** ჰქონდათ და სკოლის დამთავრებას ზეიმობდნენ? განა არ ვნახეთ, სკოლადამთავრებული გოგო-ბიჭებით რომ იყო მოფენილი რუსთაველის გამზირი და მისი მიმდებარე ტერიტორია? აი, რა „საჩუქარი“ გაუკეთა მათ ლგბტ ორგანიზაციამ...

და კვლავ გურამიშვილის სიტყვებს დავიმონებ:

— **„ამას ვწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ: ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“.**

თქვენ ზემოთ მკითხეთ, თუ რამ განაპირობა ჩემი სამოქალაქო აქტივობა. გასაუხობთ, — მრავალმა მიზეზმა, რომელთა შორის ერთ-ერთი **ჰომოსექსუალიზმის იდეოლოგიების მხრიდან ინტელექტუალური ფორმით გამოხატული განმრყერნელი ზემოქმედებისაგან ბავშვები, ჩვენი მომავალი თაობის დაცვა გახლდათ!**

— **მამაო, აქ თქვენ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ, და რაც მთავარია, მკაფიოდ მიანიშნეთ ლგბტ აქციის მონაწილეთა მხრიდან კრიმინალური ძალადობის ერთ-ერთი ფორმის — ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნების არსებობაზე.**

— 17 მაისს განვითარებული მოვლენების ამ კუთხით განხილვას იურისტებს, ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს, სამართალდამცავებს, პოლიტოლოგებს, პედაგოგებს და ყველა დაინტერესებულ პიროვნებას ვურჩევ, ასევე მასმედიის წარმომადგენლებსაც, რომელთაც ჩვენი დიდი ნინაპრის კიდევ ერთ შეგონებას შევასხენებ:

**„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!“**

ქვემოთ კვლავ ჩვენს გულისტივილზე მოგახსენებთ.

ჩვენი საპროტესტო აქცია უშუალო კავშირშია **მშობელთა უფლებებთან, დავიცვათ ჩვენი შვილები ნებისმიერი, ჩვენთვის მიუღებელი ზეგავლენისაგან, მათ შორის გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის — ამგვარი ინფორმაციის მი-**

**ზანმიმართული და უკონტროლო გავრცელებისაგან, რომელსაც შეუძლია, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოზარდის ზნეობრივ და სულიერ განვითარებას. შეუძლია, ჩამოუყალიბოს მცდარი წარმოდგენა ტრადიციული და არატრადიციული ქორწინებითი ურთიერთობების ტოლფასოვნებაზე. მოზარდებს, რომელთაც, ასაკიდან გამომდინარე, ჯერ არა აქვთ განვითარებული უნარი, დამოუკიდებლად და კრიტიკულად შეაფასონ ასეთი მოვლენები, ჩვენი თანადგომა, ჩვენი დაცვა სჭირდებათ!**

ნუთუ, არ შეიძლება ლგბტ-სა და მისი მსგავსი ორგანიზაციების **ფსიქოლოგიური ძალადობისაგან** დაიცვას სახელმწიფომ საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილი — მოზარდი თაობა, და ამისთვის ქმედითი ღონისძიებები გაატაროს? ნუთუ, რთული იქნება ისე დარეგულირება ამ საკითხისა, რომელიც მათი (ლგბტ-ს) უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების **ადგილის, დროის და ფორმის** ისეთ ნეიტრალურ შეზღუდვებს გაითვალისწინებს, რომელიც გავლენას არ მოახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე, ან გამომხატველობით ეფექტზე და დატოვებს ალტერნატიული გზებით მათი განხორციელების შესაძლებლობას?

— **მამაო, როგორც ცნობილია, 17 მაისის აქციაში მონაწილეობა მიიღო, ასევე, ეკლესიიდან განკვეთილმა მღვდელმა ვასილ მკალაიშვილმა და მისმა ეგზალტირებულმა მრევლმა. სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილმა ისინი მართლმადიდებელ მოძღვრად და ეკლესიურ ადამიანებად აღიქვა. შესაძლოა, ბევრი დაბრკოლდა მათი საქციელით...**

— დიახ. მასმედიაში „ჭინჭრების აქციად“ შერაცხილი პროცესიის მომწყობად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრები იქნენ მიჩნეულნი. ვფიქრობთ, დროა, ოცდამეერთე საუკუნეში მაინც ვისწავლოთ რელიგიური მიმდინარეობებისა თუ დენომინაციების გარჩევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განკვეთილი სასულიერო პირი ვასილ მკალაიშვილი და მისი მრევლი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრნი არ არიან, და მათი ჩვენთან გაიგივება არასწორია. მოხარული ვიქნები, თუ მასმედიაში შემდგომში მაინც გამოსწორდება ამ მიმართებით მდგომარეობა.

ამასთან, ერთმნიშვნელოვნად ვადასტურებთ და მხარს ვუჭერთ საქართველოს თითოეული მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, დააფიქსიროს თავისი პოზიცია ნებისმიერ საკითხზე და მათ შორის **გაუკუღმართებული**

**ცხოვრების პროპაგანდის მიუღებლობაზე.** ასევე, ვიზიარებ იმ აზრსაც, რომ ბევრი დაბრკოლდა მათი საქციელით, მაგრამ მე ის თემები უფრო მანუხებს, რამაც 17 მაისის პროცესების პროვოცირება გამოიწვია და რაზეც ასე დემონსტრაციულად სდუმან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

როცა არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე **მოზარდთაობაზე გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის მეშვეობით ფსიქოლოგიური ძალადობის განხორციელებისა**, ნუთუ ადამიანებს არ აქვთ უფლება დასვან ლეგიტიმური კითხვა და მიიღონ ამომწურავი პასუხი, თუ ვინ და რა ორგანიზაციები დგანან 17 მაისის აქციის უკან, საიდან ფინანსდებიან და ვის აბარებენ ანგარიშს „ათიანზე შესრულებული“ დავალებების თაობაზე? ეს კითხვა არაერთგზის იქნა დასმული, მაგრამ ფართო საზოგადოებამ პასუხი ამ კითხვაზე დღემდე ვერ მიიღო. იქნებ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა, ან თემაა ტაბუირებული? პირადად ჩემთვის ეს სიტუაცია გაუგებარია.

ამდენად, საქმე გვაქვს მავანთა მიერ აქცენტების შეცვლის მცდელობასთან, რათა ცოლდვა ნორმად წარმოჩინდეს, ხოლო ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები — მიუღებლად.

მათ აქვთ უფლება, დაიცვან თავიანთი აზრი და იყვნენ თავისუფალნი თავიანთ არჩევანში, მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ ხომ კონსტიტუცია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებზე დაყრდნობით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე გამოაცხადა და აღიარა, რომ არ დაუშვებს უფლებების შეზღუდვას, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს?!

თქვენ მკითხავთ, ვის უფლებებს არღვევდნენ **ლგბტ-თა** აქციის მონაწილენი? — ოჯახის კეთილდღეობაზე უკვე მოგახსენეთ; ერთსაც დავსძენ: ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, ასეთი პროპაგანდა კი, როგორზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მავნე ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, **და ამ აქციის ორგანიზატორებს სწორედ კონსტიტუციური ვალდებულება აკისრებთ, გაუფრთხილდნენ ბუნებრივ და უვნებელ გარემოს.**

ამ დღეს საზოგადოების დიდი ნაწილი ღირსების დასაცავად გამოვიდა ქუჩაში. ფორმებზე შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ პრევენცია იმას გულისხმობს, რომ მათ გამოხატვის ასეთი ფორმებიც უნდა შეზღუდონ, სწორედ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



“**ღვან ნათელი უფლისა ღმრთისა ჩუენისა ჩუენ გედა...**”




**რა არის მამული...**







ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

## ღმთის საყოლნო კაცანი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი